ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

„პრეზიდენტის შეწყალების სამართლებრივი ასპექტები“

საკითხის ანალიზი და
სარეკომენდაციო წინადადებები

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
ნოემბერი, 2013 წ.
ქ. თბილისი

შინაარსი

1. საკითხის ანალიზისთვის
2. შეწყალების არსი და მიზნები
3. საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირობითი მსჯავრისა და ნასამართლეობის მქონე პირთა შეწყალება
4. 23 000 პირობითი მსჯავრისა და ნასამართლეობის მქონე პირის შეწყალება - ჰუმანური ნაბიჯი თუ წინასაარჩევნო კამპანია?!
5. პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება
6. თენგიზ გუნავას საქმე
7. ბაჩო ახალაიას საქმე
8. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება
9. დასკვნა
10. სარეკომენდაციო ნაწილი

1. საკითხის ანალიზისთვის

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა მკაცრ სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელებას დაუჭირა მხარი. ხელისუფლებაში ყოფნის 9–წლიანი მმართველობის პერიოდში გატარებულმა "ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკამ საზოგადოების განსაკუთრებული პროტესტი დაიმსახურა. მას შემდეგ, რაც 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე მმართველმა პარტიამ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მარცხი განიცადა, რომლის ერთ–ერთი მიზეზიც, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარე პროცესები გახდა, მიხეილ სააკაშვილმა საზოგადოებას მასშტაბური შეწყალების ინიციატივა შესთავაზა.

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ საზოგადოებასა და ექსპერტებში არაერთი კითხვა დაბადა და სხვადასხვა მოლოდინი გააჩინა, ხოლო მედიამ იმთავითვე შენიშნა, რომ საინტერესო იყო ფაქტი – „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის ინიცირების შემდეგ, მასშტაბური შეწყალების ინიციატივებით გამოსვლა, პრეზიდენტის ჰუმანური ნაბიჯი გახლდათ თუ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის ნაწილი?!

საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ, უკვე ოპოზიციაში მყოფი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მხრიდან არაერთი განცხადება გაკეთდა, თითქოსდა ქვეყანაში დანაშაულის რაოდენობამ მოიმატა, თუმცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2013 წლის 7 ნოემბერს გამოქვეყნებულმა სტატისტიკამ მიუთითა, რომ დანაშაულის რაოდენობა საპარლამენტო არჩევნების შემდგომ არ გაზრდილა. ამიტომაც, ასეთმა საჯარო პოზიციებმა გააჩნია მოსაზრებები, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ მასშტაბური შეწყალების ინიციატივები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანაშაულის მატებასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებების გამართლებას ემსახურებოდა.

ფაქტობრივმა მიდგომებმა ცხადყო, 2005 წელს მიღებული დისკრეციული უფლებამოსილება ნებისმიერი პირის შეწყალების თაობაზე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის თენგიზ გუნავას მიმართ, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას, იუსტიციის ყოფილი მინისტრის ძმის დავით ადეიშვილის, ბუტა რობაქიძის საქმეზე ბრალდებული მაიზერ ლიპარტელიანის და ყაჩაღობისთვის ბრალდებული ცოტნე მამულაშვილის მიმართ გამოიყენა.

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებებმა, საზოგადოებაში დისკუსია კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა, თუ რამდენად სამართლიანია, ჰქონდეს პრეზიდენს ასეთი შეუზღუდავი უფლებამოსილება და რა გავლენას ახდენს პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება მართლმსაჯულების ავტორიტეტსა და ეფექტურობაზე?!

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2013 წლის 25 ოქტომბერს სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლების, უფლებადამცველების, არასამთავრობო სექტორის, ექსპერტების, პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებისა და თემით დაინტერესებული მედიის მონაწილოებით, თემაზე: „რას მოუტანს პრეზიდენტის მასშტაბური შეწყალება საზოგადოებას?“, მრგვალი მაგიდა გამართეს. ორგანიზაციამ ყურადღება დაუთმო საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში არსებულ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შეფასებას მიღებულ შეწყალებებისა და ამნისტიების ნაწილში. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა განიხილეს პრეზიდენტის ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში ყველაზე მასშტაბური – 2013 წლის 19 აგვისტოს განხორციელებული შეწყალება, რომლის მიხედვითაც 18 000 ათასამდე მოქალაქეს პირობითი მსჯავრი და ნასამართლეობა მოეხსნა. ამასთან, შეხვედრაზე განხილულ იქნა

პარლამენტის 2012 წლის ამნისტიისა და პრეზიდენტის 2013 წლის აგვისტოს შეწყალების ინიციატივების შედარება და შესაძლო შედეგები. მრგვალი მაგიდის განხილვის ერთ–ერთი თემაა გახლდათ მასშტაბური შეწყალებების გავლენა მართლმსაჯულების ავტორიტეტსა და ეფექტურობაზე და პატიმრების ფსიქოლოგია. ამასთან, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი და პოლიტიკური პრაქტიკა შეწყალებებსა და ამნისტიასთან დაკავშირებით.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ სამართლის ჯგუფი საჭიროდ მიიჩნევს უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს პრეზიდენტის პოლიტიკის შეფასებას სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის მიმართულებით. ამიტომაც, საზოგადოებას საკითხზე სთავაზობს საჭირო ინფორმაციას და მსჯელობას.

წინამდებარე დოკუმენტის[1] ანალიზი შედგება ძირითადი ნაწილის, დასკვნისა და სარეკომენდაციო წინადადებებისაგან. ძირითად ნაწილში განხილულია შეწყალების არსი და მიზნები, მოცემულია, თუ რომელი მუხლით გასამართლებულ პირებზე გავრცელდა პრეზიდენტის შეწყალების აქტი, პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილების საკითხი, თენგიზ გუნავასა და ბაჩო ახალაიას საქმეები და ამ მიმართულებით, წარმოჩენილია საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა.

ანალიზის დასკვნით ნაწილში მოცემულია, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მასშტაბურმა შეწყალებებმა მართლმსაჯულების ავტორიტეტსა და ეფექტურობაზე. ორგანიზაცია ხელისუფლებას სთავაზობს სარეკომენდაციო წინადადებებსაც. ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია, საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტური პირების მხრიდან, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის, ხელისუფლებისთვის კი - მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება. წარმოდგენილი დოკუმენტიც სწორედ აღნიშნულ მიზნებს ემსახურება.

[1] ნაშრომში კომბინირებულია 2013 წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ განხორციელებული შეწყალების აქტები. ანალიზის ძირითადი აქცენტი მიმართულია შეწყალების სამართლებრივ ასპექტებზე. დოკუმენტის შედეგების განვითარება წარმოებულია სამინისტროებისა და სხვა შესაბამისი სტრუქტურების მიერ მოწოდებული ინფორმაციის, ექსპერტების, კვალიფიციური იურისტებისა და სხვა კომპეტენტური პირების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ანალიზის შედეგად.

2. შეწყალების არსი და მიზნები

საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს კონსტიტუციის 73–ე მუხლის 1–ელი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, მინიჭებული აქვს შეწყალების უფლება. თუ რა შემთხვევაში ხორციელდება შეწყალების უფლებამოსილება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განმარტავს. კერძოდ, კოდექსის 78-ე მუხლის საფუძველზე შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ.

შეწყალების აქტით, მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ან/და მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. ამასთან, სასჯელმოხდილს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.[2]

შეწყალების არსი ამნისტიისგან განსხვავებით, საქმის ინდივიდუალური განხილვის პრინციპის დაცვას ემსახურება. შეწყალების გამოყენების წესის თაობაზე, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: შეწყალება გამოიყენება: ა) იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია საქართველოს სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე; ბ) იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია სხვა სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; გ) იმ სასჯელმოხდილი პირის მიმართ, რომელსაც არა აქვს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის ბრძანებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმადვე, შეწყალება არ გამოიყენება იმ მსჯავრდებული პირის მიმართ:
ა) რომელსაც მიესაჯა უვადო პატიმრობა, თუ მას ფაქტობრივად არა აქვს მოხდილი თავისუფლების აღკვეთის 25 წელი;
ბ) რომელიც სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის სახით ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენისათვის და მოხდილი არა აქვს დანიშნული სასჯელის ნახევარი;
გ) რომელსაც მსჯავრი დაედო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით და მოხდილი არა აქვს დანიშნული სასჯელის ნახევარი;
დ) რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული და არა აქვს მოხდილი დანიშნული სასჯელის ნახევარი;
ე) რომელიც პირველადაა მსჯავრდებული ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და მოხდილი არა აქვს დანიშნული სასჯელის 1/3;
ვ) რომლის მიმართ ადრე გამოყენებულ იქნა ამნისტია ან შეწყალება და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული;
ზ) რომელიც სასჯელს იხდის პირობითი მსჯავრდებისას სასამართლოს მიერ დანიშნული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩადენილი განზრახი დანაშაულისათვის;
თ) რომელიც სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა პირობით ვადამდე და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული;
ი) რომელსაც სასამართლოს მიერ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვლილი აქვს უფრო მსუბუქი სასჯელით;
კ) რომელიც სასჯელის მოხდის ადგილიდან ხასიათდება უარყოფითად;
ლ) რომელიც არ ცნობს თავს დამნაშავედ, არ ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და არ ითხოვს შეწყალებას.

---

[2] იხ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999წ.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის ბრძანებულების მე-7 მუხლის თანახმად[3] შეწყალების შუამდგომლობის (თხოვნის) განხილვისას მხედველობაში მიიღება:
ა) მსჯავრდებულის პიროვნება, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიში ხასიათი, ნასამართლობა, სასჯელის მოხდის ვადა, სასჯელის მოხდის ადგილებში მსჯავრდებულის ქცევა, ოჯახური პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, დაზარალებულის მოსაზრება და სხვა გარემოებანი;
ბ) სასჯელმოხდილი პირის ქცევა, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის კატეგორია და სასჯელის მოხდიდან გასული ვადა;
2. არასრულწლოვანი პირის შეწყალების შუამდგომლობა (თხოვნა) განიხილება რიგგარეშე და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებთან ერთად მხედველობაში მიიღება პირის ფსიქიკური განვითარების დონე, ცხოვრებისა და აღზრდის პირობები და სხვა პიროვნული თავისებურებანი.

[3] იხ.: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #277, “შეწყალების გამოყენების წესის შესახებ”, 2004 წლის 19 ივლისი.

3. ნასამართლეობისა და პირობითი მსჯავრის მქონე პირთა შეწყალება

2013 წლის 19 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტმა ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება[4] ყველა პირობითი მსჯავრდებულისა და ნასამართლეობის მქონე პირის შეწყალების თაობაზე. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, შეწყალება არ შეეხო მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც გასამართლდნენ სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლების მიხედვით:

- *მუხლი 108 - განზრახ მკვლელობა;*
- *მუხლი 109 - განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში;*
- *მუხლი 112 - დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა;*
- *მუხლი 140 - სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის მიუღწეველთან;*
- *მუხლი 143[1] - ადამიანით ვაჭრობა;*
- *მუხლი 143[2] - არასრულწლოვანით ვაჭრობა(ტრეფიკინგი);*
- *მუხლი 143[3] - ადამინით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა;*
- *მუხლი 144[1] - წამება;*
- *მუხლი 223[1] - ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა;*
- *მუხლი 229 - აფეთქება;*
- *მუხლი 232 - ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება;*
- *მუხლი 234 - საქართველოს ტერიტორიაზე რადიაქტიული, ტოქსიკური, სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტრანზიტი ან იმპორტი;*
- *მუხლი **255[1]** - არასრულწლოვანის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონო დამზადებასა და გასაღებაში.*

პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, შეწყალება არ შეეხო, აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 კარის (დანაშაული სახელწმიფოს წინააღმდეგ) შემდეგი თავებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის გასამართლებულ პირებს:

- *XXXVII – დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ*
- *XXXVIII – ტერორიზმი*

აგრეთვე, სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 კარით (დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ) გასამართლებულ პირებს.[5]

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 19 აგვისტოს გაკეთებულ განცხადებას 18 000-მდე ადამიანი გამოეხმაურა და პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით მიმართ, ხოლო 2013 წლის 2 ოქტომბერს, მიხეილ სააკაშვილმა, 18 000-მდე მოქალაქის შეწყალების თაობაზე განკარგულება გამოსცა,

ინიციატივის მიხედვით, შეწყალება შეეხო ისეთ პირებს, რომლებსაც ჩადენილი აქვთ ისეთი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები, როგორიცაა: გაუპატიურება,

---

[4] იხ. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 19 აგვისტოს განცხადება, 2013 წელი. ხელმისაწვდომია http://www.president.gov.ge/ge/PressOffice/News/Releases/?8414.

[5] იხ.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

თავისუფლების უკანონო აღკვეთა, განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება, ყაჩაღობა, ნარკოტიკული დანაშაულები და სხვა.

საქართველოს პრეზიდენტმა, 2013 წლის 25 ოქტომბერს, 18 000-მდე პირის შეწყალების შემდეგ, ნასამართლეობა და პირობითი მსჯავრი, კიდევ 5 000-მდე ადამიანს მოეხსნა.[6]

2013 წლის 30 ივლისს, პრეზიდენტმა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი თენგიზ გუნავა შეიწყალა.[7]

2013 წლის 29 ოქტომბერს, მიხეილ სააკაშვილმა 230 მსჯავრდებული პირი შეიწყალა.[8] შეწყალებულებს შორის აღმოჩნდნენ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის ბრალდებული, იუსტიციის ყოფილი მინისტრის ძმა დავით ადეიშვილი, ბუტა რობაქიძის საქმეზე ბრალდებული მაიზერ ლიპარტელიანი და ყაჩაღობისთვის ბრალდებული ცოტნე მამულაშვილი.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანდრო ბარნოვის განცხადებით, პრეზიდენტმა შეიწყალა ის ხალხი, რომლებიც პოლიტიკური დევნის მსხვერპლი გახდნენ. „მას შემდეგ, რაც ახალაიამ პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით მიმართა, მიხეილ სააკაშვილმა ე.წ. „ციხის ბუნტის საქმეზე“, ახალაიას შეწყალების გადაწყვეტილება მიიღო.“[9]

როგორც ცნობილია, ერთადერთი გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც სასამართლომ ბაჩო ახალაიას გამოუტანა, „ციხის ბუნტის“ საქმეა, სადაც დაზარალებულებლად ე.წ. კანონიერი ქურდები და კრიმინალური ავტორიტეტები არიან ცნობილნი. რამდენიმე თვიანი განხილვის შემდეგ, სასამართლომ ბაჩო ახალაიას 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე თავდაცვის ყოფილი მინისტრის შეწყალების გადაწყვეტილება[10] შემდეგნაირად დაასაბუთა: „მთელი ამ წლებისა და თვეების განმავლობაში, თქვენ გიყვებოდნენ და ბევრმა დაიჯერეთ კიდეც, რომ ბაჩო ახალაია «მონსტრია“, რომ ის პირადად მონაწილეობდა მკვლელობებში, ადამიანთა წამებაში, გაუპატიურებასა და გატაცებაში, ასევე სხვა მძიმე დანაშაულებში. მის მიმართ ოფიციალურად წარდგენილი ოფიციალური ბრალდებები, იმავე ხალხის მიერ მომზადებული, რომლებიც მთელი ეს წლები მსგავს განცხადებებს აკეთებდნენ, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ძალიან განსხვავდება მათ მიერ საჯაროდ ტელევიზიით და ყვითელი პრესის ფურცლებიდან გაცხადებული ბრალდებებისგან. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ბაჩოს არ დაუშვია სერიოზული შეცდომები. არც იმის გამორიცხვა შეიძლება არასდროს, რომ შეიძლება, კანონიც დაერღვია და ამის შესახებ არაფერი გვცოდნოდა, მაგრამ ამდენი ძიების შემდეგ ყველა ბრალდება, რომლებიც პროკურატურამ სასამართლოს წარუდგინა, უსაფუძვლო აღმოჩნ-

---

[6] იხ. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ანდრო ბარნოვის 25 ოქტომბრის განცხადება, 2013 წელი.

[7] იხ. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება მსჯავრდებულ თენგიზ გუნავას შეწყალების შესახებ, 2013. ხელმისაწვდომია:http://president.gov.ge/ge/PressOffice/Documents/LegalActs?p=8395&i=1.

[8] იხ.საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ანდრო ბარნოვის 25 ოქტომბრის განცხადება, 2013 წელი.

[9] იხ. სტატია: „პრეზიდენტმა ბაჩო ახალაია ბუნტის საქმეზე შეიწყალა”, 24 საათი, 2013.http://24saati.ge/index.php/category/news/2013-11-05/41260.html.

[10] იხ. განცხადება: „ბაჩო ახალაიას საქმეზე და ბევრად მეტზე”, 3 ნოემბერი, 2013 წელი. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/notes/mikheil-saakashvili/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%96%E1%83%94/662689170428134.

და, ხოლო «ბუნტის“ საქმე, უბრალოდ, სამარცხვინო, საშიში და ანტისახელმწიფოებრივია. მე ვგმობ და ვემიჯნები ციხეში ან ნებისმიერ სხვა უწყებაში წამების, ცუდად მოპყრობის, უკანონობის ნებისმიერ ფაქტს - განაჩენი რომელიმე მსგავს ფაქტზე რომ დამდგარიყო, კატეგორიულად ვაცხადებ, არ გამოვიყენებდი შეწყალების უფლებას! მაგრამ ეს საქმეები პროკურატურამ წარადგინა და ისინი ბაჩო ახალიასთან მიმართებაში ყველას თვალწინ დაიშალა. ამგვარად, გამამართლებელ განაჩენებთან ერთად, საკითხიც მოიხსნა. რაც შეეხება ციხის ბუნტის საქმეს, რომელიც უკავშირდება კანონიერი ქურდების ინსტიტუტის კანონიერ ჩარჩოებში აღმოფხვრის პოლიტიკას, მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ვაცხადებ, რომ ეს იყო ჩემი, როგორც საზოგადოებისგან შესაბამისი მანდატის მქონე თანამდებობის პირის და ასევე ჩემი მთავრობის ერთობლივი გადაწყვეტილება! დღესაც ღრმად მწამს, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომელზეც სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ.“

4. 23 000 პირობითი მსჯავრისა და ნასამართლეობის მქონე პირის შეწყალება - ჰუმანური ნაბიჯი თუ წინასაარჩევნო კამპანია?

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 19 აგვისტოს განცხადებას, 18 000-მდე ადამიანი გამოეხმაურა და პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით მიმართეს. პრეზიდენტმა 2013 წლის 2 ოქტომბერს 18 000-მდე ადამიანის შეწყალების თაობაზე განკარგულებას ხელი მოაწერა.[11]

18 000-მდე პირის შეწყალების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ნასამართლეობა და პირობითი მსჯავრი კიდევ 5 000-მდე ადამიანს მოეხსნა.[12]

ინიციატივის მიხედვით, შეწყალება შეეხო ისეთ პირებს, რომლებსაც ჩადენილი აქვთ ისეთი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები, როგორიცაა: გაუპატიურება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება, ყაჩაღობა, ნარკოტიკული დანაშაულები და სხვა.

ასეთ დანაშაულებისათვის მსჯავრდებულ პირთა შეწყალება, საქმეების ინდივიდუალურად შესწავლის და იმის დადგენის გარეშე, რომ მსჯავრდებული თავისი ქმედებით და ცხოვრების წესით ნამდვილად იმსახურებს შეწყალებას, შესაძლოა მოქალაქეებმა აღიქვან, როგორც რიგი მძიმე დანაშაულებისდმი სახელმწიფოს ლოიალური პოლიტიკის გამოხატულება.

მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტის მიერ განხორციელებული ყველა ქმედება უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპების დაცვით. შეწყალების უფლება პრეზიდენტს საქართველოს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული.[13] შეწყალების აქტზე საქართველოს კანონმდებლობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამნისტიისგან განსხვავებით, შეწყალება არის საქმის ინდივიდუალური განხილვის საფუძველზე მიღებული აქტი, რასაც წინ უნდა უძღოდეს მსჯავრდებულის საქმის დეტალური გამოკვლევა. პრეზიდენტის ინიციატივა კი აღნიშნულ პრინციპს ეწინააღმდეგება.

საქმეთა ინდივიდუალურად განხილვის პრინციპის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ნასამართლეობის მოხსნას (გაქარწყლებას) პრაქტიკაში შორს მიმავალი შედეგები აქვს, როგორც ინდივიდის, ასევე საზოგადოებისათვის. კერძოდ, ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

თუ პირობითი მსჯავრის მქონე პირები დანაშაულს ჩაიდენდნენ მაშინ, როდესაც ისინი იყვნენ ნასამართლევები ან პირობითი მსჯავრი ჰქონდათ, მაშინ მათ ბევრად უფრო მკაცრი სასჯელი შეეფარდებოდათ, ვიდრე მას შემდეგ, როდესაც მათ მოეხსნებათ ნასამართლეობა და პირობითი მსჯავრი. ამიტომ ბუნებრივია, თუკი ვინმესთვის მისი ნასამართლეობა ან პირობითი მსჯავრი იყო შემაკავებელი ფაქტორი იმისა, რომ მას განმეორებით დანაშაული არ ჩაედინა, ეს შემაკავებელი ფაქტორი უკვე ამ პირებთან მიმართებაში აღარ იარსებებს.

---

[11] იხ.: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 19 აგვისტოს განცხადება, 2013 წელი. ხელმისაწვდომია: http://www.president.gov.ge/ge/PressOffice/News/Releases/?8414.

[12] იხ.: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ანდრო ბარნოვის 25 ოქტომბრის განცხადება, 2013 წელი.

[13] იხილეთ: საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წელი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი წლების განმავლობაში თავად იყო მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების ინიციატორი და მხარდამჭერი, შეწყალების განხორციელება, 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდნეტო არჩევნებამდე 2 თვით ადრე, ასეთი მასობრივი შეწყალების ინიციატივით გამოსვლა, ავტომატურად ბადებს ეჭვს, რომ პრეზიდენტის ქმედება, არა უბრალოდ ჰუმანური ნაბიჯი, არამედ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი შეიძლება იყოს.

კოპენჰაგენის ფუნდამენტური დოკუმენტი, ყველა სახელმწიფოს ავალდებულ;ებს, რომ ქვენებმა უზრუნველყონ სახელისუფლებო და პარტიული საქმიანობის გამიჯვნა და არ დაუშვან ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება პარტიული მიზნებისათვის.[14]

სარჩელის ინდივიდუალური გადახედვის პრინციპის დაუცველობით, ასეთი მასშტაბური შეწყალების განხორციელება ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ საქართველოს პრეზიდენტი, შესაძლოა, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებას ცდილობს, რაც ეწინააღმდეგება კოპენჰაგენის ფუნდამენტური დოკუმენტის მოთხოვნებს.

[14] იხ.: Osce - Document of the Copenhagen, 1990. ხელმისაწვდომია: http://www.osce.org/node/14304.

5. პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება

მოქმედი კანონმდებლობა პრეზიდენტს ანიჭებს შესაძლებლობას, სურვილის შემთხვევაში, გვერდი აუაროს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და შეწყალებასთან დაკავშირებით, მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილება. პრეზიდენტის N277 ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტს უფლება აქვს, ამავე ბრძანებულებით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე.[15]

შეწყალების დისკრეციული უფლებამოსილება - კომისიის გვერდის ავლით მიიღოს გადაწყვეტილება და შეიწყალოს ნებისმიერ დანაშაულში მსჯავრდებული პიროვნება ნებისმიერ დროს, საქართველოს პრეზიდენტს, 2005 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად მიენიჭა.

შეწყალების უფლებამოსილება თავისი არსით ჰუმანური აქტია. დემოკრატიული, ცივილური სახელმწიფო კი - რასაკვირველია, ჰუმანური პრინციპების გამტარებელი უნდა იყოს, თუმცა საქართელოს პრეზიდენტმა განხორციელებული ცვლილებით, საკუთარ თავს განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა. უნდა ითქვას, რომ ჰუმანურობის პრინციპიც მოითხოვს გარკვეულ ჩარჩოებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ქვეყნის ინტერესები, კანონისა და მართლმსაჯულების არსი და მიზნები დაზიანდეს.

პრეზიდენტის ფართო უფლებამოსილების არასათანადო რეგულაციამ სადღეისოდ არასახარბიელო შედეგები გამოიწვია. სადაც კანონის უზენაესობის პრინციპი მოქმედებს და მართლმსაჯულება სათანადო დონეზე დგას, არ შეიძლება ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი სამართლებრივი ჩარჩოების მიღმა არსებობდეს. ასეთი შეუზღუდავი უფლებამოსილება, თუნდაც ისეთი ჰუმანური უფლებამოსილების საკითხში, როგორიც შეწყალების ინსტიტუტია, დიქტატურის ნიშნების არსებობის ეჭვს ბადებს.

---

[15] იხ.: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N277, 2004 წლის 19 ივლისი, ქ.თბილისი, „შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“.

6. თენგიზ გუნავას საქმე

საქართველოს პრეზიდენტმა დისკრეციული უფლებამოსილება 2013 წლის 30 ივლისს გამოიყენა, როდესაც შეიწყალა მსჯავრდებული თენგიზ გუნავა და მას ნასამართლობა მოუხსნა. საინტერესოა, რამდენად კანონიერი და სამართლიანი იყო პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება?

კანონიერი თვალსაზრისით, პრეზიდენტმა N277 ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენა და ამ ბრძანებულებით დადგენილი ნორმების დაუცველად მიიღო გადაწყვეტილება შეწყალების თაობაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „სასჯელმოხდილს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლეობა“.[16] პრეზიდენტმა, როდესაც თენგიზ გუნავას მოუხსნა ნასამართლეობა, ის არ იყო სასჯელმოხდილი და მისთვის ნასამართლეობის მოხსნა კანონმდებლობით გათვალისწინებული არ ყოფილა. აღნიშნული წესის დარღვევას ვერ ამართლებს ვერც პრეზიდენტისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება. სასჯელმოხდილი პირი და მსჯავრდებული ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებებია. შესაბამისად, ნასამართლეობის მოხსნა დაუშვებელია მსჯავრდებულთა მიმართ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ კონსტიტუციის დებულებების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს კონსტიტუციური პრინციპებთან კავშირში. კონსტიტუციის პრეამბულით გათვალისწინებულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, გულისხმობს სამართლებრივი განსაზღვრულობის და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა წინასწარი განჭვრეტის შესაძლებლობას. აღნიშნული პრინციპი საქართველოს პრეზიდენტს ავალდებულებს, თავისი დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს არა თვითნებურად, პირადი სურვილების გათვალისწინებით, არამედ წინასწარ ჩამოყალიბებული, ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი და ნათლად განჭვრეტადი კრიტერიუმების საფუძველზე.

აღნიშნულ პრინციპებს ეწინააღმდეგება ,,შეწყალების გამოყენების წესის შესახებ" პრეზიდენტის ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი,[17] რომლის საფუძველზეც, პრეზიდენტმა ყოფილი გუბერნატორი თენგიზ გუნავა შეიწყალა. ამ ბრძანებულებაში არ არის განსაზღვრული ის ზოგადი კრიტერიუმები და გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, პრეზიდენტი შეიწყალებდა ნებისმიერ პირს ,,შეწყალების გამოყენების წესის შესახებ" მისივე ბრძანებულების დებულების დაუცველად. ცნობილია არაერთი კონკრეტული შემთხვევაც, როდესაც მსჯავრდებულები აკმაყოფილებდნენ პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულებით განსაზღვრულ ყველა პირობას და მათი შეწყალება მაინც არ ხდებოდა.

ამ ფონზე, რამდენად სამართლიანია იმ პირის შეწყალება, რომელიც სასჯელს იხდიდა ორი დანაშაულის ჩადენისათვის, არ ჰქონდა მოხდილი სასჯელის 1/3, არ ცნობდა თავს დამნაშავედ, არ ინანიებდა დანაშაულს და არც შეწყალებას ითხოვდა?

---

[16] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,

[17] იხ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N277, 2004 წლის 19 ივლისი, ქ.თბილისი, „შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“.

7. ბაჩო ახალაიას საქმე

2013 წლის 28 ოქტომბერს სასამართლომ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ განაჩენი გამოაცხადა. ყოფილ მინისტრს ციხის ბუნტის საქმეზე, ბრალდება ორი მუხლით ჰქონდა წაყენებული - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების (333-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნტები) და არაადამიანური მოპყრობის (144-ე მუხლის მესამე პრიმა მუხლის მეორე ნაწილის ა, ბ, დ, ე და ზ ქვეპუნქტები) მუხლებით. სასამართლომ ბაჩანა ახალაია დამნაშავედ არ ცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ნაწილში. მას მხოლოდ არაადამიანური მოპყრობისთვის მიესაჯა, რომელსაც შეეხო ამნისტია და ამის შედეგად სასჯელის ვადად განისაზღვრა 3.9 წლით პატიმრობა. ასევე, 2 წლით და 3 თვის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება და დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით.[18]

ბაჩანა ახალაია, თავდაპირველად, თავს დამნაშავედ არ ცნობდა, თუმცა მოგვიანებით, მან პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით მიმართა. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ყოფილი მინისტრი შეიწყალა და მისი ქმედება შემდეგნაირად ახსნა: „ყველა ბრალდება, რომელიც პროკურატურამ სასამართლოს წარუდგინა, უსაფუძვლო აღმოჩნდა, ხოლო „ბუნტის' საქმე, უბრალოდ, სამარცხვინო, საშიში და ანტისახელმწიფოებრივია".

საინტერესოა, საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის წევრისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის შალვა შავგულიძის განცხადება,[19] რომელიც მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის მხრიდან შეწყალებები აბსოლუტურად უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაა კანონის მიმართ. მისივე მოსაზრებით, პრეზიდენტი ბოროტად იყენებს შეწყალების ინსტიტუტს:

„ეს არის აბსოლუტურად უპასუხისმგებლო დამოკიდებულება კანონის მიმართ, მართლმსაჯულების მიმართ, ქვეყნის მიმართ. როდესაც ასე ბოროტად, ასე უპასუხისმგებლოად იყენებ შეწყალების ინსტიტუტს. არ მინდა უფრო მძიმე სიტყვები ვიხმარო. ეს არის სრულიად უპასუხისმგებლო საქციელი. შეწყალების უფლება მას კონსტიტუციამ მიანიჭა არა პოლიტიკური ნიშნით გამოსაყენებლად, არამედ სახელმწიფოებრივად სწორი გადაწყვეტილების, გარკვეულ შემთხვევებში, სახელმწიფოებრივად პოზიტიურად ამ ინსტიტუტის გამოსაყენებლად. პრეზიდენტი კი ამას წმინდა პარტიული ნიშნით იყენებს".

საქართველოს პრეზიდენტმა მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, სამართლებრივი მოთხოვნების დაცვით მიიღო ბაჩანა ახალაიას შეწყალების გადაწყვეტილება. თუმცა საინტერესოა რამდენად სამართლიანია, საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდეს დისკრეციული უფლებამოსილება ნებისმიერი პირის შეწყალების თაობაზე.

---

[18] საქართველოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 2013 წელი.

[19] იხ. სტატია: „შეიწყალებს თუ არა პრეზიდენტი ბაჩო ახალაიას – დეპუტატების პროგნოზები" ხელმისაწვდომია: http://www.netgazeti.ge/GE/105/News/25001/

8. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება

შეწყალების ინიციატივები ხორციელდება დასავლურ და აღმოსავლურ ქვეყნებშიც. მაგალითად, მსგავსი ინიციატივა განახორციელა აშშ–ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უმცროსმა, რომელიც დაემთხვა მისი საპრეზიდენტო პოსტის დატოვებას. პრეზიდენტმა შეწყალება თანამდებობის დატოვებამდე რამდენიმე თვით ადრე მოახდინა, მაშინ როდესაც ჯორჯ ბუში უმცროსის პრეზიდენტობის პერიოდში, როგორც ანალიტიკოსები მიუთითებენ, მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა არსებობდა და ყველაზე არაჰუმანურ პრეზიდენტად ითვლებოდა პატიმრებთან მიმართებაში.

აშშ-ს კონსტიტუციის მეორე მუხლის მეორე პარაგრაფი პრეზიდენტს ანიჭებს შეწყალების უფლებამოსილებას. ყველა ფედერალური შეწყალების გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი, შტატების იუსტიციის დეპარტამენტის შეწყალების ოფისის რეკომენდაციის გაცნობის შემდეგ.[20]

კრიტიკოსების აზრით, შეწყალება აშშ-ში ხშრად პოლიტიკური მოტივებით გამოიყენება და არა სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ყველაზე ცნობილი შეწყალების ინიციატივა პრეზიდენტ ფორდს ეკუთვნის, რომელმაც 1974 წლის 8 სექტემბერს, მისი წინარე პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი შეიწყალა. ხალხი შეწყალების წინააღმდეგი იყო და ნიქსონის შეწყალებამ ფორდის რეიტინგი საგრძნობლად შეამცირა.

ცნობილია ენდრიუ ჯონსონის მიერ ათასობით ჩინოვნიკისა და სამხედრო პერსონალის შეწყალების ფაქტი ამერიკის სამოქალაქო ომის შემდგომ, ჯორჯ ბუშის მიერ 75 პირის შეწყალების ფაქტი მათ შორის რეიგანის ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და ირანის „კონტრას საქმესთან“ დაკავშირებული პირების შეწყალება, ასევე ბილ კლინტონის მიერ პრეზიდენტობის ბოლო დღეს 140 პირის შეწყალების ფაქტი, მათ შორის მილიარდელი მარ რიჩის შეწყალება. აშშ–ში შეწყალება აღიარებულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ. ასევე სასამართლოს შეუძლია უარყოს შეწყალება.

შტატის კანონმდებლობის დარღვევისთვის შეწყალების უფლება აქვს თითოეული შტატის გუბერნატორს. სასიკვდილო განაჩენისგან შეწყალების ინიციატივა განახორციელა ჯორჯ რაიენმა ილინოის შტატის გუბერნატორმა და ტონი ანაიამ ნიუ მექსიკოს შტატის გუბერნატორმა.

საფრანგეთში, შეწყალების საკითხს წყვეტს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, რომლის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას.[21] აღნიშნული უფლებამოსილება პრეზიდენტს ერგო მემკვიდრეობით საფრანგეთის მეფეებისგან. პროცედურა ასეთია: მსჯავრდებული პირი პრეზიდენტს შეწყალების მიმართვას უგზავნის. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს საქმის გამომძიებელი, რის შემდეგაც, საქმე გადაეცემა იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლისა და შეწყალების დეპარტამენტს განხილვისთვის. განხილვის შემდეგ ხდება გადაწყვეტილების მიღება.

საფრანგეთში გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს პირის მთლიანად გათავისუფლებას სასჯელისგან ან/და სასჯელის შემცირებას. შეწყალება არ შეიძლება ითვალისწინებდეს ზიანის ანაზღაურებას და ნასამართლობის გაქარწყლებას.

---

[20] იხ.: P.S. Ruckman, Jr. 1997. "Executive Clemency in the United States: Origins, Development, and Analysis (1900-1993)," 27*Presidential Studies Quarterly*, 251-271.

[21] იხ.: საფრანგეთის კონსტიტუცია, 1958. ინგლისური ვერსია ხელმისაწვდომია: http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=179092.

საფრანგეთში, როდესაც სიკვდილით დასჯა იყო დასაშვები, ყველა შესაძლო სასჯელი გადაიხედებოდა პრეზიდენტის მიერ და ექვემდებარებოდა შეწყალებას. საფრანგეთის პარლამენტი უფლებამოსილია გამოსცეს ამნისტიის აქტი, რომელიც სამართლებრივად განსხვავებული პროცედურაა.

პრეზიდენტ ნიკოლას სარკოზის, 2007 წელს, ბასტილიის აღების დღესთან დაკავშირებით, შესთავაზეს მოეხდინა 3 000 ადამიანის შეწყალება, რაზეც პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ციხის მენეჯმენტის საკითხის მოგვარება, 3 000 ადამიანის შეწყალებით ვერ მოხდებოდა. სარკოზის განცხადებით, ის შეიწყალებდა პატიმრებს ინდივიდუალურად, განსაკუთრებულ შემთხვევებში, case by case პრინციპით. აღნიშნული განცხადება სარკოზიმ გააკეთა იმ ფონზე, როდესაც საფრანგეთის ციხეები 50 000 პატიმარზე იყო გათვლილი, პატიმართა რაოდენობა კი 61 000-ს აღემატებოდა. რაც შეეხება ამნისტიას, აღნიშნული საფრანგეთის პარლამენტის უფლებამოსილებას წარმოადგენს. საფრანგეთში არსებობს ტერმინი „საპრეზიდენტო ამნისტია“, რაც დაკავშირებულია ტრადიციასთან, რომელსაც პრეზიდენტის არჩევნების შემდგომ პარლამენტი ახორციელებს. ასეთი სახის ამნისტია, ძირითადად ვრცელდება წვრილმან დანაშაულებზე, თუმცა ეს წესი გაკრიტიკებულია, რადგან ითვლება, რომ საფრანგეთის მოქალაქეებს წინასაარჩევნოდ წვრილმანი დარღვევების ჩადენისგან თავის აურიდებლობისკენ მოუწოდებს.

რუსეთში პრეზიდენტს შეწყალების უფლება მინიჭებული აქვს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 89-ე მუხლის მიხედვით.[22] შეწყალების კომიტეტი ადგენს პირთა სიას, ვისზეც შეწყალება შეიძლება გავრცელდეს და გადასცემს პრეზიდენტს. პრეზიდენტი ბორის ელცინი ხშირად იყენებდა შეწყალების უფლებას, მის თანამდევ ვლადიმერ პუტინს კი, ბოლო წლების განმავლობაში, საერთოდ არავინ შეუწყალებია.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 103 მუხლის მიხედვით, რუსეთის დუმას (პარლამენტს) აქვს ამნისტიის უფლება. აღსანიშნავია, რომ დუმას ამნისტიის გადაწყვეტილებაზე არ ვრცელდება პრეზიდენტის ვეტოს უფლება. დუმამ მასშტაბური ამნისტია მხოლოდ 1995 წლის აპრილში გამოაცხადა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის 50 წლის იუბილის გამო იქნა მიღებული. ამ ფაქტმა უფლებადამცველთა ყურადღება მსოფლიო მასშტაბით მიიპყრო. ამნისტიის შედეგად, 30 000–მდე პატიმარი გამოუშვეს, რაც დაკავშირებული იყო ციხეების გადატვირთულობასთან, დაავადებების მასიურ გავრცელებასთან და პენიტენციალურ სისტემაში გაუსაძლის პირობებთან.

ტაილანდის მეფემ საკუთარ დაბადების დღეზე, 30 000 პატიმარი შეიწყალა, თუმცა აღნიშნულის გამო ტალანდის მეფემ მასშტაბური კრიტიკა დაიმსახურა და მისი გადაწყვეტილება უარყოფითად შეფასდა ექსპერტების მხრიდანაც.

საინტერესოა, ლატვიის რესპუბლიკის პრაქტიკა, სადაც შეწყალების პროცედურებს ლატვიის რესპუბლიკის „შეწყალების შესახებ“ კანონი არეგულირებს.

1993 წლის 6 ივლისს ლატვიის რესპუბლიკის სეიმმა(პარლამენტმა) ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუცია აღადგინა. კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტს დაუბრუნდა შეწყალების უფლებამოსილება. შეყალების ინიციატივის განსახორციელებლად, საქმეების განხილვისთვის პრეზიდენტის კანცელარიაში მოქმედებს შეწყალების კომისია.

---

[22] იხ.: რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია, 1993. ხელმისაწვდომია: http://www.gov.ru/main/konst/konst0.html.

1998 წლის 16 ივლისს ლატვიის პარლამენტმა მიიღო შეწყალების შესახებ კანონი. 1998 წლის 7 ივლისს ლატვიის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ხელი მოაწერა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს. კანონის ძალაში შესვლის შემდეგ პრეზიდენტი ახორციელებს ლატვიის კონსტიტუციის 45-ე მუხლით მინიჭებულ შეწყალების უფლებამოსილებას შეწყალების კანონში მითითებული ნორმების შესაბამისად.

ლატვიის რესპუბლიკის შეწყალების შესახებ კანონი[23] ითვალისწინებს შეწყალების შემდეგ სახეებს:

1) თავისუფლების აღკვეთის სხვა უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლას;
2) ძირითადი სასჯელისგან ნაწილობრივ ან მთლიანად გათავისუფლებას;
3) დამატებითი სასჯელისგან ნაწილობრივ ან მთლიანად გათავისუფლებას;
4) ნასამართლეობის მოხსნას.

კანონის თანახმად, შეწყალების თხოვნით მიმართვის უფლება აქვს პირს რომელიც:

1) სასჯელს მოიხდის ლატვიის რესპუბლიკაში
2) გასამართლებული იქნა საზღვარგარეთის ქვეყნის სასამართლოს მიერ მაგრამ სასჯელის მოსახდელად გადაეცა ლატვიის რესპუბლიკას;
3) გასამართლებული იქნა ლატვიის სასამართლოს მიერ და სასჯელს მოიხდის საზღვარგარეთ და საზღვარგარეთ არსებული შესაბამისი ორგანო ეთანხმება ლატვიის გადაწყვეტილებას პირის შეწყალების თაობაზე;
4) სასჯელმოხდილია ლატვიის რესპუბლიკაში

„შეწყალების შესახებ“ ლატვიის რესპუბლიკის კანონის მიხედვით, შეწყალების ინიციატივით მიმართვის უფლება აქვს გასამართლებული პირის ადვოკატს, კანონიერ წარმომადგენელს, მშობლებს, შვილებს, მეუღლეს.

ლატვიის რესპუბლიკის შეწყალების შესახებ კანონი ითვალისწინებს ვადებს, რომლის შემდეგაც მსჯავრდებულს უფლება აქვს მიმართოს შეწყალების თხოვნით პრეზიდენტს:

მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პირს შეწყალების თხოვნით მიმართვის უფლება აქვს, თუ მოხდილი აქვს თავისუფლების აღკვეთის სახით დაკისრებული სასჯელის ნახევარი მაინც.

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, შეწყალების თხოვნით მიმართვის უფლება პირს აქვს, თუ მოხდილი აქვს თავისუფლების აღკვეთის სახით დაკისრებული სასჯელის 2/3 მაინც, სამუდამო პატიმრობის შემთხვევაში, 20 წლიანი პატიმრობის შემდეგ.

დანარჩენ შემთხვევებში, შეწყალების თხოვნით მიმართვა შესაძლებელია განაჩენის გაცნობის მომენტიდან. გადაწყვეტილებას შეწყალების თაობაზე იღებს პრეზიდენტი.

განმეორებით შეწყალების თხოვნით მიმართვის უფლება აქვს არაუადრეს 6 თვის შემდეგ, შეწყალების შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებიდან. მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებს შეწყალებისთვის განმეორებით მიმართვის უფლება აქვთ არაუადრეს 1 წლის შემდეგ შეწყალების თაობაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებიდან, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

---

[23]იხ.: ლატვიის რესპუბლიკის კანონი “შეწყალების შესახებ”, 16.06.1998(2011 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით).

პრეზიდენტმა გუნტისა ულმანისამ თავისი მმართველობის პერიოდში 1993 წლიდან 1999 წლის ჩათვლით, განხილული 3391 შეწყალების საქმიდან 219 პირი შეიწყალა.

ლატვიის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ანდრის ბერზინშმა 2011 წლიდან 2013 წლის ჩათვლით, განხილული 958 საქმიდან მხოლოდ 47 პირის შეწყალების გადაწყვეტილება მიიღო.

ლატვიის შეწყალების კანონი არ ითვალისწინებს, მომართვიდან რა ვადაში უნდა იქნეს განხილული შეწყალების გადაწყვეტილება.

რაც შეეხება მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, შეწყალების კომისია პრეზიდენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, არაუგვიანეს 5 დღისა უგზავნის შესაბამის ორგანოებს აღსასრულებლად.[24]

[24] იხ.: ლატვიის რესპუბლიკის კანონი "შეწყალების შესახებ", 16.06.1998(2011 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით).

8. დასკვნა

დასკვნით ნაწილში, მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რა გავლენას შესაძლოა ახდენდეს პრეზიდენტის მიერ განხორციელებული შეწყალების უფლებამოსილება მართლმსაჯულების ავტორიტეტსა და ეფექტურობაზე.

საქმის ინდივიდუალურად შესწავლის პრინციპის უგულვებელყოფით ფართომასშტაბიანი შეწყალების განხორციელებას შესაძლოა მოჰყვეს არასახარბიელო შედეგები. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს რესოციალიზაციის კეთილშობილური მიზნის მიღწევის (ნასამართლეობის მოხსნის) ალტერნატიულ და საზოგადოებისათვის ნაკლები ზიანის შემცველ გზას (ნასამართლეობის გაქარწყლება სასამრთლოსათვის მიმართვის გზით, რომელიც გადაწყვეტილებას ინდივიდუალობის პრინციპის დაცვით იღებს).

თენგიზ გუნავასთან და ბაჩო ახალაიასთან მიმართებით დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის შეწყალების უფლებამოსილება, მართალია, ჰუმანური აქტია, მაგრამ არ შეიძლება ჰუმანური გადაწყვეტილების უფლებამოსილებაც კი იყოს შეუზღუდავი. ასეთი უფლებამოსილება მართლმსაჯულების პრინციპებს ბღალავს. აუცილებელია, რომ პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება გარკვეულ პრინციპებს ექვემდებარებოდეს და გარკვეულ ჩარჩოებში იყოს მოქცეული.

აუცილებელია, რომ პატიმარი, რომელიც არ აღიარებს დანაშაულს, მისი შეწყალების საკითხი გარკვეულ საკანონმდებლო რეგულირებას ექვემდებარებოდეს და სამართლებრივ ჩარჩოებში იქნეს მოქცეული. მნიშვნელოვანია, პასუხი გაეცეს კითხვას, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ 2013 წლის უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული მასშტაბური შეწყალებები ჰუმანურ ნაბიჯად უნდა ჩავთვალოთ თუ ისევ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად?!

როგორც ვნახეთ, შეწყალების ინიციატივები სხვადასხვა ქვეყნის მმართველებს არაერთხელ განუხორციელებიათ. თუმცა საქართველოს შემთხვევაში, ყურადსაღები შეწყალების მასშტაბურობაა. მსოფლიოს უფრო დიდ განვითარებულ, დასავლურ ქვეყნებში მსგავსი მასშტაბის შეწყალება არ განხორციელებულა. რაც შეეხება შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, მსგავსი მასშტაბის ღონისძიებები ხორციელდება, თუმცა კრიტიკის საგანიც არც თუ იშვიათად ხდება. შესაბამისად, პრეზიდენტის მიერ პირთა შეწყალების უფლება თავისი არსით ჰუმანური ნაბიჯია, თუმცა შეწყალების ერთპიროვნული და ისეთი მასშტაბური ინიციატივა, როგორიც მიხეილ სააკაშვილმა 2013 წლის პერიოდში განახორციელა, თუ გავითვალისწინებთ მისი ორი ვადით პრეზიდენტად ყოფნის ვადას, მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის აქტიურ მხარდაჭერასაც, წინასაარჩევნო კამპანიის ან უბრალოდ, პიარის ნაწილად უფრო უნდა განვიხილოთ, ვიდრე უბრალოდ, ჰუმანურ ნაბიჯად.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც – შეწყალების არსის შესაბამისობა პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ ინიციატივასთან 23 000 პირის შეწყალების თაობაზე. შეწყალება, თავისი არსით, ამნისტიისგან განსხვავებით, დამყარებული უნდა იყოს საქმის ინდივიდუალურად გადახედვაზე, 23 000 პირისთვის ნასამართლეობისა და პირობითი მსჯავრის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ფაქტია, რომ ინდივიდუალურობის პრინციპი დაცული არ ყოფილა და შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება, უნდა ჩაითვალოს, რომ შეწყალების მიზნებს ეწინააღმდეგება.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა პრეზიდენტს ანიჭებს შესაძლებლობას, სურვილის შემთხვევაში, გვერდი აუაროს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილება შეწყალებასთან დაკავშირებით. N277 პრეზიდნეტის ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტს უფლება აქვს, ამავე ბრძანებულებით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად, მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე.

კონსტიტუციის პრეამბულით გათვალისწინებულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, როგორც სამართლებრივი განსაზღვრულობის და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა წინასწარი განჭვრეტის შესაძლებლობა. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2005 წელს საკუთარი თავისთვის მინიჭებული შეწყალების შეუზღუდავი უფლებამოსილება, ბრძანებულებით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება შეწყალების თაობაზე, უნდა განხორციელდეს წინასწარ ჩამოყალიბებული, ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და ნათლად განჭვრეტადი კრიტერიუმების საფუძველზე.

9. სარეკომენდაციო ნაწილი

საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტის მიმართ

საქართველოს პრეზიდენტის მიმართ

1. 2013 წლის 27 ოქტომბერს არჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა უზრუნველყოს სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის მხარდაჭერა ადამიანის ფუნდამეტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიებით და ქვეყანაში შეწყალების პროცესი განახორციელოს მისი არსისა და მიზნის სრული დაცვით, საქმის ინდივიდუალურობის პრინციპის გათვალისწინებით[25]

2. 2013 წლის 27 ოქტომბერს არჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა შეწყალება განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ნორმებისა და პრინციპების დაცვით.[26] მნიშვნელოვანია, გატარდეს შესაბამასი სამართლებრივი უზრუნველყოფა და დაიხვეწოს ქვეყანაში მოქმედი შეწყალების პროცედურა, გაკეთდეს უფრო მკაფიო განმარტებები და დათქმები, რათა საზოგადოებისთვის გამჭვირვალე გახდეს პრეზიდენტის მიერ ამ პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები.[27]

3. საქართველოს პარლამენტის მიერ ახალი კანონის მიღებამდე, საქართველოს პრეზიდენტმა თავის N277 ბრძანებულებაში განახორციელოს შესატყვისი და შესაბამისი ცვლილებები, რომლითაც შეიზღუდება პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება, შეწყალების პროცესში მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, რაც არ გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში გათვალისწინებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან.[28]

---

[25] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის საფუძველზე შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ.

[26] რეკომენდაციის საფუძველი გახდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ გუბერნატორ თენგიზ გუნავას შეწყალების საქმე, სადაც მიხეილ სააკაშვილმა დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78–ე მუხლის მე–3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, სასჯელმოხდილ პირს შეიძლება შეწყალების აქტით მოეხსნას ნასამართლეობა, პრეზიდენტმა კი, როდესაც თენგიზ გუნავასა მოუხსნა ნასამართლეობა, ის არ იყო სასჯელმოხდილი და მისთვის ნასამართლეობა კანონმდებლობით გათვალისწინებული არ ყოფილა.

[27] შეწყალების პროცედურების დახვეწა გულისხმობს იმას, რომ შეწყალების გამოყენება არ უნდა მოხდეს ერთპიროვნულად და შესაბამისი შესწავლის და პროცედურების დაცვის შემდეგ უნდა მოხდეს გადაწყვეტილებების მიღება.

[28] N277 ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტს უფლება აქვს ამავე ბრძანებულებით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად, მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის მიმართ

1. საქართველოს პარლამენტმა დაიწყოს მსჯელობა ახალი კანონის მისაღებად, რომელიც უზრუნველყოფს შეწყალების კონსტიტუციური ინსტიტუტის სამართლებრივი საფუძვლების მყარი გარანტიების შექმნას და მკაფიოდ წარმოადგენს იმ აკრძალვებს, შესაძლებლობებსა და საგამონაკლისო შემთხვევებს, რა დროსაც პრეზიდენტს შესაძლებლობა ექნება შეწყალების პროცესი გახადოს სამართლიანი და გამჭვირვალე.[29]

2. საქართველოს პარლამენტმა შეწყალების შესახებ ახალი სამართლებრივი რეგულაციების მიზნით, კანონის მიღების პროცესში უზრუნველყოს კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციების, სისხლის სამართლის სპეციალისტებისა და უფლებადამცველების ჩართულობა, რომელთა ხედვა და მოსაზრებები, საჭირო და აუცილებელია პროცესის საჯაროობისა და საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე.

3. საქართველოს პარლამენტმა შეწყალების შესახებ ახალი სამართლებრივი რეგულაციების მიზნით მუშაობა დაიწყოს გონივრულ ვადებში, ახალი საკანონმდებლო რეგულაციების მიღება უზრუნველყოს არაუგვიანეს 2014 წლის 1 მარტისა.

---

[29] ახალი კანონის ინიცირებისთვის ყურადსაღებია ლატვიის რესპუბლიკის პრაქტიკა, სადაც არსებობს კანონი „შეწყალების შესახებ". დაწვრილებით იხილეთ ამავე კვლევის მე-8 ნაწილი.